გიორგი გურჯიევი

ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის

ადამიანის ცხოვრების ობიექტურ-მიუკერძოებელი კრიტიკა

ნაწილი პირველი

ყველა და ყველაფერი / სერიის პირველი წიგნი

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2023

წიგნი მოიცავს არაერთ თემასა და სამსჯელო საგანს. იგი წარმოადგენს ერთგვარ ალეგორიასა და მითოსურ ნარატივს, რომელიც თავიდან ბოლომდე ლიტერატურული ფორმითაა გადმოცემული.

ავტორი აღნიშნავს, რომ წიგნის მიზანია, მკითხველს დაანახოს „გამანადგურებლად, უმოწყალოდ, ყოველგვარი კომპრომისის გარეშე, მკითხველის მენტალობასა და გრძნობებში საუკუნეების განმავლობაში ფესვგადგმული რწმენები და წარმოდგენები ამ სამყაროში არსებული ყოველივეს შესახებ“.

ნაწარმოებში გამოყენებულია ე.წ. ჩარჩოებიანი ხერხი მხატვრული წერის მანერისა – არამიწიერი არსების, ბელზებელის (რომელიც ატარებს ამავე სახელის მქონე დემონის სახელწოდებას) ჩაფიქრებები და სხვადასხვა ისტორიები. თავს გადახდენილ ამბებს ბელზებელი უყვება თავის შვილიშვილ ჰუსეინს, რომელთან ერთადაც ხომალდ „კარნაკით“ მოგზაურობს კოსმოსში თავისი მშობლიური პლანეტის (კარატაზი) მიმართულებით. ბელზებელი დეტალურად აღწერს ისტორიებს, ადათ-წესებს, ჩვეულებებს, კულტურასა თუ ფსიქოლოგიას ადამიანური არსებების შესახებ.

ისტორია ალეგორიულად გამოხატავს ავტორის მიერ თავისებურად აღქმული ადამიანური ყოფიერების, მდგომარეობისა და პირობების განმარტებას. ნაწარმოების პროტაგონისტი პერსონაჟი გვიყვება დედამიწაზე არაერთი სტუმრობის შესახებ, სადაც მას გარკვეული შეხედულებები ჩამოუყალიბდა კაცობრიობაზე. მისი ეს აღნიშნული ნარატივი მთელ ნაწარმოებში მიჩნეულია, როგორც ერთგვარი ახსნა-განმარტება ბატონი გურჯიევის ფილოსოფიური მსოფლმხედველობისა.

გამომცემლობის რეკომენდაციაა რომ მკითხელი გიორგი გურჯიევის შემოქმედებას გაეცნოს შემდეგი თანმიმდევრობით: 1. ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის, 2. შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან, 3. ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“, 4. გრძნეულთა ბრძოლა, 5. დანახული რეალური სამყაროდან.

მთარგმნელები: ვ. ნარიმანიძე, გ. ბერაძე
კორექტორი: ეკატერინე კვირკველია
გამომცემელი: გიზო ცაცუა

მეორე შესწორებული გამოცემა

გამომცემლობა „აქტი“, 2023
ვებ-გვერდი: AKTI.GE
© გამომცემლობა „აქტი“
ISBN 978-9941-8-5766-9

სარჩევი

წინასიტყვაობა....6

მეგობრული რჩევა....27
თავი I....29
აზროვნების გამოღვიძება....29
თავი II....65
პროლოგი. რატომ იმყოფება ბელზებელი ჩვენი მზის სისტემაში....65
თავი III....69
ხომალდ „კარნაკის“ ვარდნის შეფერხების მიზეზი....69
თავი IV....77
ვარდნის კანონი....77
თავი V....81
მთავარანგელოზ ხარიტონის სისტემა....81
თავი VI....83
მუდმივი ძრავა....83
თავი VII....86
ჭეშმარიტი ყოფითი ვალდებულების გაცნობიერება....86
თავი VIII....89
თავხედი ბიჭუნკელა, ჰუსეინი, ბელზებელის შვილიშვილი....89
ბედავს ადამიანებს „უხეიროები“ უწოდოს....89
თავი IX....91
მთვარის წარმოშობის მიზეზი....91
თავი X....96
რატომ არიან „ადამიანები“ არაადამიანები....96
თავი XI....101
თანამედროვე ადამიანის თავისებური ფსიქიკის პიკანტური თვისება....101
თავი XII....104
პირველი ჭექა-ქუხილი....104

თავი XIII....108
რატომ შეიძლება, რომ ფანტაზია ადამიანის....108
გონებით შეიძლება აღიქმებოდეს როგორც რეალობა....108
თავი XIV....111
გამოჩენა პერსპექტივებისა კარგს არაფერს რომ არ გპირდება....111
თავი XV....113
ბელზებელის პირველი ჩასვლა პლანეტა დედამიწაზე....113
თავი XVI....122
დროის ფარდობითობის გაგება....122
თავი XVII....132
არქისისულელე....132
ბელზებელი ამტკიცებს, რომ ჩვენი მზე არც ანათებს და არც ათბობს....132
თავი XVIII....143
არქისაოცარი....143
თავი XIX....165
ბელზებელის მონათხრობი მის მეორე....165
დაშვებაზე პლანეტა დედამიწაზე....165
თავი XX....189
ბელზებელის მესამე გაფრენა პლანეტა დედამიწაზე....189
თავი XXI....205
ბელზებელის მიერ ინდოეთის პირველად მონახულება....205
თავი XXII....224
ბელზებელი პირველად ტიბეტში....224
თავი XXIII....236
ბელზებელის მეოთხე პირადი ყოფნა დედამიწაზე....236
თავი XXIV....271
ბელზებელი მეხუთედ მიფრინავს პლანეტა დედამიწაზე....271
თავი XXV....295
ღვთისაგან წარგზავნილი უწმინდესი აშიატა შიემაში....295
თავი XXVI....299
ლეგომინიზმი უწმინდესი აშიატა შიემაშის....299
მსჯელობებზე სახელად „სიტუაციის საშინელება“....299
თავი XXVII....309
უწმინდეს აშიატა შიემაშის მიერ....309
ადამიანური არსებობის ორგანიზაცია....309
თავი XXVIII....326
აშიატა შიემაშის წმინდა ნაშრომთა განადგურების....326
მთავარი დამნაშავე....326

თავი XXIX....342
წინა ცივილიზაციების შედეგები და....342
თანამედროვე ცივილიზაციის ყვავილები....342
თავი XXX....369
ხელოვნება....369
თავი XXXI....424
პლანეტა დედამიწაზე ბელზებელის მეექვსე და უკანასკნელი ჩასვლა....424
თავი XXXII....450
ჰიპნოტიზმი....450
თავი XXXIII....467
ბელზებელი – პროფესიით ჰიპნოტიზიორი....467
გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები....479

წინასიტყვაობა

XX საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსი, მისტიკოსი, ეზოტერიკოსი, ოკულტისტი, ქრისტიანული მისტიკურ-ანთროპოლოგისტური მოძღვრების ავტორი, სპარსული და არაბული ხალიჩების უდიდესი მცოდნე და კოლექციონერი, მასონური საზოგადოების წევრი, დიდი ექიმი და ალქიმიკოსი, კომპოზიტორი და უამრავი მუსიკალური ნაწარმოების ავტორი, მეომარი და უდიდესი ავანტიურისტი, ტიბეტელთა სულიერი ლიდერის, დალაი-ლამას მასწავლებელი, ჰიტლერისა თუ სტალინის მრჩეველი გიორგი გურჯიევი XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქ ალექსანდროპოლში (დღევანდელი სომხეთის ნაწილი) დაიბადა. ამ ადამიანის ეროვნება და დაბადების თარიღი დღემდე გაურკვეველია – დაბადების თარიღად ასახელებენ 1866-დან 1877-მდე წლებს – თუმცაღა ცნობილია, რომ იგი დედით სომეხი, მამით კი ბერძენი გახლდათ. ზოგიერთი მის ასირიულ წარმოშობაზე მიუთითებს, ზოგი კი – ქართულზე... მისი მეტსახელი „გურჯიევი“, სწორედ „ქართველს“ აღნიშნავს.

გიორგი გურჯიევის ცხოვრება, ისევე, როგორც მოღვაწეობა, იდუმალებით არის მოცული. ადრეული ასაკიდანვე მოგზაურობდა აღმოსავლეთში, ეწვია საბერძნეთს, ეგვიპტეს, თურქეთს, ავღანეთს, თურქესტანს, სადაც ეცნობოდა ადგილობრივ რელიგიურ მოძღვრებებს, მათ შორის სუფიზმს, ბუდიზმსა და აღმოსავლურ ქრისტიანობას.

ერთ დროს გურჯიევის მოწაფე და ბიოგრაფი ლუის პაუელსი ახსენებს წყაროებს, რომელთა თანახმად, გურჯიევი იყო რუსეთის საიდუმლო აგენტი და იგი მისიით იყო გაგზავნილი ტიბეტში. არსებობს იმგვარი მოსაზრებაც, რომ გიორგი გურჯიევის მრავალფეროვან მოგზაურობებს იოსებ სტალინი[1] აფინანსებდა.

1912 წელს გურჯიევი კავკასიიდან რუსეთში ბრუნდება, სადაც ირთავს ცოლს. სწორედ მოსკოვში ჩნდებიან მისი პირველი მოწაფეები. 5 წლის შემდეგ კი მიემგზავრება სომხეთში. გურჯიევის გზისათვის თვალის გადევნება უფრო ადვილი ხდება 1914 წლიდან. მოსკოვის ჟურნალებში აქა-იქ ლა-

1. ცნობილ ისტორიკოს ანდრეი მეილახის მტკიცებით, გურჯიევების ოჯახი გარკვეული დროით გორში გადასახლდა და თავის დროზე იგი იმავე გიმნაზიაში სწავლობდა, რომელშიც პატარა იოსებ ჯუღაშვილი.

პარაკია ვინმე „ინდოელზე“, რომელიც მოვიდა როგორც ძველი სიბრძნის მთხრობელი და აღმოსავლური მაგების წარმომდგენი ბალეტის დამდგმელი.

იმ დროს გერმანია პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა. ქვეყანა ქაოსში და უდიდეს გასაჭირში იყო. ადამიანებში რწმენა იკარგებოდა, ხოლო საზოგადოება გამოსავალი გზების ძიებაში ახალ-ახალ თეორიებს ქმნიდა. ამასთან, ე.წ. მასონიზმმა მჭიდროდ მოიკიდა ფეხი დასავლეთში... მაშინ ბავარია და, განსაკუთრებით კი, მიუნხენი სხვადასხვა მასონური ლოჟის მოქმედების ადგილს წარმოადგენდა. გიორგი გურჯიევიც იმ პერიოდისათვის მასონთა ლოჟაში ირიცხებოდა (საზოგადოება „ტულე“-ს და ფრანკმასონური ლოჟის „ბრილი“ წევრი). გურჯიევს უკვე ჰქონდა წარმოდგენილი საკუთარი ფილოსოფიური იდეა – „ახალი ადამიანი“. საზოგადოება „ტულე“-ში მაშინ გაწევრიანებული იყვნენ ადოლფ შიკლგრუბერი (ჰიტლერი), შემდგომში ნაციონალ-სოციალიზმის ფუძემდებელი ალფრედ როზენბერგი, ცნობილი ანთროპოსოფი, ეზოტერიკოსი და ფილოსოფოსი რუდოლფ შტაინერი, ფაშიზმის ეზოტერული მოძღვრების ავტორი ჰანს ჰორბირგერი და სხვ. თავის დროზე, როგორც ამბობენ, ამ საზოგადოების წევრები იყვნენ ვლადიმერ ულიანოვი და გიორგი პლეხანოვიც.

გრიგოლ რობაქიძე კი ამ საზოგადოების წევრებს საკმაოდ დაუახლოვდა. რობაქიძისა და გურჯიევის მჭიდრო ურთიერთობებმა ახალ იდეას ჩაუყარა საფუძველი. 1919 წელს თბილისში გიორგი გურჯიევმა საკუთარი „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტი“ გახსნა. სკოლის ხელმძღვანელად კი მისი მოსწავლე გიორგი მეფისაშვილი დაინიშნა. სკოლაში ისწავლებოდა როგორც გურჯიევის მოძღვრებები, ისე ძველი ქართული ფილოსოფიური ტრაქტატები. სკოლა აწარმოებდა ქართული ორთაბრძოლების ხელოვნების, „ხრიდოლის“, შესწავლას და მასალების მოძიებას. გურჯიევი მას კავკასიური იოგას ფილოსოფიასაც უწოდებდა. იგი სვანეთშიც ეძებდა ხრიდოლის შემსწავლელ დაკარგულ უძველეს ხელნაწერებს. მისი აზრით, ეს ხელოვნება, „ხრიდოლი“ სათავეს ვახტანგ გორგასალის მეფობის პერიოდიდან იღებდა და დაახლოებით ერეკლე II-ს პერიოდამდე, როგორც ერთიანი სისტემური სწავლება, გაქრა. ეს საიდუმლო სწავლება იყო... მხოლოდ მეფის ოჯახისა და მისი პირადი დაცვის, ჩუხჩარხების, პრეროგატივა გახლდათ – დაფუძნებული უფრო მეტად ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებზე, აკონტროლოს როგორც სული, ისე სხეული.

გურჯიევმა ცხოვრების დიდი ნაწილი თბილისში გაატარა. მას ასევე კავშირი ჰქონდა მიხეილ ბულგაკოვთან (არის ვერსია, რომ უკანასკნელის ნაწარმოებში „ოსტატი და მარგარიტა“ ერთ-ერთი პერსონაჟის, ვოლანდის, პროტოტიპი სწორედ გურჯიევია), პაოლო იაშვილთან, ვაჟა-ფშაველასთან. იგი დიდი მწერლის, გრიგოლ რობაქიძის, უახლოესი მეგობარი გახლდათ;

ბელზებელის

ნაამბობი შვილიშვილისთვის

მეგობრული რჩევა

(ავტორის მიერ ექსპრომტად დაწერილი უკვე დამთავრებული წიგნის ტიპოგრაფიისთვის გადაცემისას).

მრავალრიცხოვანი დასკვნისა და შეჯამების საფუძველზე, რომლებიც მე გავაკეთე თანამედროვე ადამიანების მიერ გაგონილისა და წაკითხულის აღქმის პროდუქტიულობასთან დაკავშირებით და ასევე ერთი ხალხური ბრძნული გამონათქვამის იდეის საფუძველზე, ჩვენს დრომდე რომ მოაღწია ძალიან შორეული წარსულიდან, გამონათქვამისა, ახლა რომ გამახსენდა და რომელიც ღაღადებს:

„ყოველი ლოცვა შეიძლება შესმენილ იქნეს უზენაესი ძალების მიერ და შეიძლება მიღებულ იქნეს შესაბამისი პასუხი მხოლოდ მაშინ, თუ ის სამჯერ წარმოითქმება: პირველად შენი მშობლების სულის კეთილდღეობისა და სიმშვიდისათვის, მეორედ – მოყვასის კეთილდღეობისათვის, ხოლო მესამედ – საკუთარი თავისათვის“. მე აუცილებლად მიმაჩნია გამოცემისთვის სრულიად გამზადებული ამ წიგნის პირველ გვერდზე შემდეგი რჩევა მოგცეთ:

„სამჯერ წაიკითხეთ ყველაფერი, ჩემგან წერილობითი სახით მოწოდებული.

პირველად – თუნდაც ისე, როგორც თქვენ მიჩვეული ხართ მექანიკურად იკითხოთ თანამედროვე წიგნები და გაზეთები.

მეორეჯერ – ისე, თითქოს სხვას უკითხავდეთ.

ხოლო მესამედ, შეეცადეთ გაიგოთ ჩემ მიერ დაწერილის არსი“.

მხოლოდ ასე შეძლებთ შეიქმნათ თქვენი საკუთარი, მიუკერძოებელი აზრი ჩემი ნაწერების შესახებ. და მხოლოდ მაშინ შეიძლება გამართლდეს ჩემი იმედი, რომ თქვენი გაგების შესაბამისად ისეთ სარგებლობას მიიღებთ, როგორსაც სულითა და გულით გისურვებთ.

ავტორი

თავი I
აზროვნების გამოღვიძება

სხვა შეხედულებებს შორის, რომლებიც ჩემი საპასუხისმგებლო, თავისებურად განვითარებული ცხოვრების განმავლობაში ჩამოყალიბდა ჩემს საერთო თანდასწრებაში, არის ერთი ასეთი შეხედულებაც არავითარ ეჭვს რომ არ იწვევს: ყველგან და ყოველთვის, დედამიწაზე განვითარების სხვადასხვა დონის ადამიანებსა და იმ ფაქტორების ყველა ფორმის გამოვლინებას შორის, მათ ინდივიდუალობაში ათასნაირ იდეალებს რომ აჩენს, რაღაც ახლის არსებობის შემთხვევაში მიღებულია აუცილებლად ხმამაღლა წარმოითქვას, და თუ ხმამაღლა არა გულში მაინც, ის გარკვეული გამონათქვამი, ყველასთვის, სრულიად გაუნათლებელი ადამიანისათვისაც კი გასაგები, რომლის ფორმულირება სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებულად ხდებოდა, ჩვენს დროში კი ასეთი სახე მიიღო: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ!“

აი, რატომ მოვკიდე მე ხელი ამ საქმეს, ჩემთვის სრულიად ახალს – ავტორობას – და ვიწყებ იქიდან, რომ წარმოვთქვამ ამ გამონათქვამს, და უფრო მეტიც, წარმოვთქვამ არა მხოლოდ ხმამაღლა, არამედ ძალიან მკაფიოდაც კი, და სრული, ძველი „ტულუზელების“ განსაზღვრება რომ გამოვიყენო „სრულიად გამოვლენილი ინტონაციით“, რა თქმა უნდა, იმ სისრულით, რომელიც შეიძლება გაჩნდეს ჩემს შემადგენლობაში მხოლოდ ჩემში უკვე ჩამოყალიბებული და ღრმად ფესვგამჯდარი მონაცემებიდან – მონაცემების ისეთი გამოვლენისათვის, რომლის ფორმირება ადამიანში ხდება სხვათა შორის, მისი მოსამზადებელი ასაკის განმავლობაში, მოგვიანებით კი, საპასუხისმგებლო ცხოვრების პერიოდში ქმნის მასში უნარს გამოავლინოს ასეთი ინტონაციის ბუნება და ინდივიდუალობა.

რადგან ასე დავიწყე, მე ახლა შემიძლია სრულიად მშვიდად ვიყო და უფრო მეტიც, ვალდებულიც ვარ, თანამედროვე ადამიანებს შორის არსებული რელიგიური მორალის მიხედვით, ეჭვის ნატამალიც კი არ გამაჩნდეს, რომ ჩემს ამ ახალ საქმიანობაში ყველაფერი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე წარიმართება.

ყოველ შემთხვევაში, მე სწორედ ასე დავიწყე, და რაც შეეხება იმას, თუ როგორ წავა საქმე, მხოლოდ ამის თქმა შემიძლია: „ვნახავთ“ – როგორც ერთმა ბრმამ თქვა.

პირველ რიგში, მე ჩემს ხელს (და თანაც მარჯვენას, რომელიც ახლა ცოტათი დაზიანებული მაქვს იმ უბედურების გამო ამას წინათ რომ შემემთხვა – ის მართლაც რომ ჩემი საკუთარია და ერთხელაც არ უმტყუნია ჩემთვის ცხოვრებაში) ვიდებ გულზე, რა თქმა უნდა, ასევე საკუთარზე, მაგრამ მთელი ჩემი შემადგენლობის ამ ნაწილის მუდმივობისა თუ არამუდმივობის შესახებ, მე აქ ჩაღრმავებას საჭიროდ არ ვთვლი და გულწრფელად ვაღიარებ, რომ პირადად მე წერის არავითარი სურვილი არ მაქვს, მაგრამ ჩემგან სრულიად დამოუკიდებელი გარემოებები მაიძულებს ამის გაკეთებას. ეს გარემოებები კი ან შემთხვევით გაჩნდა, ან წინასწარგანზრახვით შექმნეს გარე ძალებმა, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ არაფერი ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს გარემოებები მაიძულებს ვწერო არა რაღაც „უმნიშვნელო“ რამეები, როგორიცაა ძილის წინ საკითხავი, არამედ სქელი ტომები.

როგორც არ უნდა იყოს, ვიწყებ.

მაგრამ რით?

ოჰ, ჯანდაბა! ნუთუ ისევ გამეორდება უკიდურესად უსიამოვნო და გამაოგნებლად უცნაური შეგრძნება, რომელიც მე მქონდა, როცა დაახლოებით სამი კვირის წინ გონებაში ვადგენდი საჯაროდ გამოსაქვეყნებელი იდეის გადმოცემის გეგმასა და წესრიგს და მაშინაც არ ვიცოდი როგორ დამეწყო?

ჩემ მიერ გადატანილი ამ განცდის ფორმულირება ახლა მხოლოდ ასე შემიძლია: „შიში საკუთარი აზრების სიჭარბეში ჩახრჩობისა“.

ამ არასასურველი შეგრძნებისგან თავდასაღწევად მე მაშინ ჯერ კიდევ შემეძლო საშველად მომეხმო ის მავნებელი თვისება, რომელიც ჩემშიც ისევეა, როგორც ყველა თანამედროვე ადამიანში და რომელიც საშუალებას გვაძლევს ყველაფერი, რის გაკეთებასაც ვაპირებთ, „ხვალისათვის“ გადავდოთ.

მე ამის გაკეთება ძალიან ადვილად შემეძლო, რადგან უშუალოდ წერის დაწყებამდე მეგონა ჯერ კიდევ ბევრი დრო იყო დარჩენილი, მაგრამ ახლა ამის გაკეთება აღარ შეიძლება და აუცილებლად უნდა დავიწყო, როგორც ამბობენ „რომ მოვკვდე კიდეც“.

მაგრამ რითი დავიწყო?

ვაშაა!... ევრიკა!

ყველა წიგნი, რომლებიც კი ცხოვრებაში წამიკითხავს, შესავლით იწყებოდა.

ასე რომ, მოცემულ შემთხვევაში მეც რაღაც მსგავსით უნდა დავიწყო.

მე ვამბობ „რაღაც მსგავსით“, იმიტომ, რომ მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში, მას შემდეგ, რაც გოგოს და ბიჭის ერთმანეთისაგან გარჩევა დავიწყე, მე ყველაფერს, აბსოლუტურად ყველაფერს, ვაკეთებდი არა ისე, როგორც სხვები, **ბუნების** სიკეთის დამანგრეველი ჩემი მსგავსი ორფეხები.

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

ფრიდრიხ ნიცშე –

1. ანტიქრისტე
2. სიკეთისა და ბოროტების მიღმა
3. ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
4. კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

მერაბ მამარდაშვილი –

1. კარტეზიანული განაზრებანი
2. ცნობიერება და ცივილიზაცია
3. ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
4. რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

სიორენ კირკეგორი –

1. შიში და თრთოლვა
2. სატანჯველის სახარება
3. ან/ან: ნაწყვეტი ცხოვრებიდან

ზიგმუნდ ფროიდი –

1. ეგო და Id
2. მოსე და მონოთეიზმი
3. ფსიქოანალიზის შესავალი
4. უკმაყოფილება კულტურით
5. მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
6. სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
7. ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია

ლევ შესტოვი –

1. შემეცნების ფილოსოფია და თეორია
2. შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

სვამი ვივეკანანდა –

1. კარმა-იოგა
2. ბჰაქთი-იოგა
3. შთაგონებული საუბრები
4. პატანჯალის იოგა სუტრა
5. ძველი ინდური ფილოსოფია
6. მედიტაცია და მისი მეთოდები

კარლ იასპერსი –

1. ნიცშე და ქრისტიანობა
2. ფილოსოფიის შესავალი

ბერტრან რასელი –

1. ესეები
2. ქორწინება და მორალი

ერიხ ფრომი –

1. ადამიანის სული

მიგელ დე უნამუნო –

1. ქრისტიანობის აგონია

იმანუელ კანტი –

1. მარადიული მშვიდობისკენ

ედმუნდ ჰუსერლი –

1. ამსტერდამული მოხსენებები

ხოსე ორტეგა-ი-გასეტი –

1. ეტიუდები სიყვარულზე

ნიკოლაი ბერდიაევი –

1. ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

გუსტავ ლე ბონი –

1. მასების ფსიქოლოგია
2. ერების ფსიქოლოგია

ჯიდუ კრიშნამურტი –

1. მედიტაცია
2. თავისუფლება ცნობილისგან
3. სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
4. პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

ოშო –

1. ცნობიერების მზე
2. საწყისთა საწყისი
3. სიყვარულის ძალა
4. რა არის მედიტაცია?
5. სექსიდან სუპერცნობიერებამდე

ალექსანდრე ბერკმანი –

1. ანარქიზმის ანბანი

ემა გოლდმანი –

1. ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი

დ. ჰ. ლოურენსი –

1. ფანტაზია არაცნობიერის თემაზე
2. ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

იულიუს ევოლა –

1. ომის მეტაფიზიკა
2. ვეფხვის მორჯულება

მაჰათმა განდი –

1. გზა ღმერთისაკენ

გიორგი გურჯიევი –

1. გრძნეულთა ბრძოლა
2. დანახული რეალური სამყაროდან
3. შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან
4. ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის
5. ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“

ნონა ხიდეშელი –
1. Carpe diem
2. მეტამორფოზა

ჯორჯ ბერკლი –
1. ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ

ავტორთა ჯგუფი –
1. სპინოზას ფილოსოფია

ირაკლი ბრაჭული –
1. ზეკაცის ჰერმენევტიკა

ჟან-პოლ სარტრი –
1. ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

ჯონ სტიუარტ მილი –
1. სოციალიზმი
2. თავისუფლების შესახებ
3. ქალთა დაქვემდებარება

გაბრიელ მარსელი –
1. იყო და ფლობდე

დევიდ ჰიუმი –
1. რელიგიის ბუნებრივი ისტორია

ლუდვიგ ბინსვანგერი –
1. ეგზისტენციალური ანალიზი

არმინ ნავაბი –
1. რატომ არ არსებობს არავითარი ღმერთი

ანი ბეზანტი –
1. კარმა
2. თეოსოფია
3. ეზოტერული ქრისტიანობა თუ მცირე მისტერიები